ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4122009

ნომერი: AR1619485

თარიღი : 29.07.2018

გაცემის თარიღი : 15.08.2018

გაცნობის თარიღი : 29.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა ; ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა , მიმდებარედ (ნაკვეთი 11/069);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მიკრო/რაიონი II, N 45ა / ქ.თბილისი, მასივი გლდანი, მიკრო/რაიონი II, N 45ა, მიმდებარედ (ნაკვეთი11/069), შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N 01.11.12.011.070), I კლასის ღობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

ამავე დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ - N 892017157861 30/11/2017წ. საკადასტრო კოდი N 01.11.12.011.070; ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მიკრო/რაიონი II, N 45ა / ქ.თბილისი, მასივი გლდანი, მიკრო/რაიონი II, N 45ა, მიმდებარედ (ნაკვეთი11/069), შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N 01.11.12.011.070), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ : საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთის ს.კ.N 01.11.12.011.070 საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.